პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 23 იანვარი, 1946 წ. № 18 (7491). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

აგიტაცია კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატთა სასარგებლოდ — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი (1-ლი გვერდი).
ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ ამხ. შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძესთან (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება (მე-2 გვერდი).
პროფესორი გ. ნაზარიშვილი — რენტგენოლოგიის 50 წელი (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

აგიტაცია კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატთა სასარგებლოდ

მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილები, ვინც მშვიდობიანი მშენებლობისა თუ სამამულო ომის მძიმე წლებში დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის საქმისადმი. საოლქო საარჩევნო კომისიებმა, მასების ნება-სურვილის შესაბამისად, წამოყენებული კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარეს. დაიწყო არჩევნებისათვის მზადების ახალი ეტაპი—აგიტაცია კანდიდატების სასარგებლოდ.

ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე შეუდგნენ ამომრჩეველთათვის დეპუტატობის კანდიდატთა ცხოვრებისა და მუშაობის დაწვრილებით გაცნობას. საგიტაციო-მასობრივი მუშაობა გაჩაღდა საარჩევნო უბნებში, იქ, სადაც ფაქტიურად გადაწყდება არჩევნების წარმატების ბედი.

ათასობით აგიტატორი—პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ამომრჩევლებს კიდევ და კიდევ განუმარტავენ საარჩევნო დებულებას, სტალინურ კონსტიტუციას, მართალი, მგზნებარე, ბოლშევიკური სიტყვით კიდევ უფრო განამტკიცებენ მასების კავშირს პარტიასთან. ისინი ამომრჩევლებს მოუთხრობენ იმ გრანდიოზულ მიღწევებზე, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მოხერხებულად, უნარიანად იყენებენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ნაცად ფორმებს. საუბრები, ექსკურსიები, რადიო, კედლის გაზეთი ფართოდ არის გამოყენებული მშრომელთა დასარაზმავად, არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის.

მასობრივ მუშაობას, რომელიც ამჟამად გაჩაღებულია ამომრჩეველთა შორის, ძირითადად საარჩევნო უბნებთან მოწყობილი აგიტპუნქტები ეწევიან. ბევრი აგიტპუნქტი საინტერესო ინიციატივას იჩენს. თბილისის ბერიას რაიონის № 5 და 8 საარჩევნო უბნების აგიტპუნქტებმა ამ დღეებში ამომრჩეველთა ექსკურსია მოაწყეს ქალაქ გორში, იმ სახლის დასათვალიერებლად, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა. გამგზავრებამდე ამომრჩევლებს აგიტატორმა გააცნო ექსკურსიის მიზანი, საუბარი დაუკავშირა მორიგ ამოცანებს, ამომრჩევლებს მოუთხრო მათ საარჩევნო ოლქში დასახელებული დეპუტატობის კანდიდატების დამსახურებაზე სამშობლოს წინაშე. ექსკურსიამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამომრჩევლებზე. მრავალი აგიტპუნქტი აწყობს ამომრჩეველთა მიერ ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალისა და სტალინური ადგილების დათვალიერებას, აცნობს მასებს ჩვენს მდიდარ რევოლუციურ წარსულს. ეს უძლიერებს ამომრჩევლებს ლენინ-სტალინის პარტიის საქმის სიმართლის რწმენას, ამაღლებს მათს პოლიტიკურ აქტივობას.

საბჭოთა ხალხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სამშობლოს ბოლომდე ერთგული შვილები შეარჩია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საჭირო არ იყოს აგიტაცია მათ სასარგებლოდ. ყველა ამომრჩეველი კარგად უნდა იცნობდეს დეპუტატობის იმ კანდიდატს, რომელიც მის საარჩევნო ოლქში იყრის კენჭს, დაწვრილებით იცოდეს მისი დამსახურება სოციალისტური სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე.

დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაცია დაკისრებული აქვს ნდობით აღჭურვილ პირებს. მათ ევალებათ საქმე ისე მოაწყონ, რომ დეპუტატობის კანდიდატი ყველა ამომრჩეველმა გაიცნოს. ამ ამოცანის შესასრულებლად მათ უნდა გამოიყენონ აგიტატორები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი.

ნდობით აღჭურვილი პირები უკვე შეუდგნენ მუშაობას. თბილისის ბერიას რაიონის მეათე საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილმა პირმა ვ. ზაქარიაძემ ორჯერ მოიწვია აგიტატორთა თათბირი, ესაუბრა, თუ რა ამოცანები დგას ამჟამად მათ წინაშე, როგორ უნდა გასწიონ აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლოდ.

ამომრჩეველთა შორის დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლო აგიტაცია მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს საუბრები იმ მიღწევებზე, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა საბჭოთა წყობილების დროს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადის ბრძენი სტალინის წინამძღოლობით.

საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებათა, მიღწევათა გამომხატველი დიადი ფაქტებისა და ციფრების ჩვენება კიდევ მეტად დაარწმუნებს ამომრჩეველს, რომ საჭიროა ხმა მისცეს მას, ვინც უსაზღვროდ ერთგულია ჩვენი სამშობლოსი, ვინც მთელი ენერგიით იბრძოლებს საბჭოთა მთავრობის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ნდობით აღჭურვილი პირების მუშაობისათვის პასუხისმგებელი არიან პარტიის რაიონული კომიტეტები. პარტიის რაიკომებმა საჭირო ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ მათ მუშაობაში. დიდი მოვალეობა საარჩევნო აგიტაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ეკისრებათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებსაც. აგიტატორების, აგიტკოლექტივების, აგიტპუნქტების მუშაობის ხარისხს მეტწილად ისინი განსაზღვრავენ.

გვახსოვდეს, რომ ბოლშევიკურ აგიტაციაზე, ნდობით აღჭურვილი პირის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული დეპუტატობის კანდიდატის გამარჯვება არჩევნებში, ამომრჩეველთა აქტივობა, მათი სრულად გამოცხადება ხმის მისაცემად.

უკლებლივ ყველა ამომრჩეველმა მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს,—აი რა მიზანს ისახავს აგიტაცია კანდიდატის სასარგებლოდ.

სოფლის ელექტროფიკაციის წარმატებანი

საუბარი სსრ კავშირის მიწსახკომის „გლავსელელექტროს“ უფროს ამხ. ზ. კ. სუსლოპაროვთან

შეჯამებულია 1945 წელს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოთა შედეგები. საქტასის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის „გლავსელელექტროს“ უფროსმა ამხ. ზ. კ. სუსლოპაროვმა განაცხადა:

— მიუხედავად იმისა, რომ 1945 წლის პირველი ნახევარი ომის პირობებში მიმდინარეობდა, ამ წელს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა ბევრად აღემატება ომამდელს. ხაექსპლოატაციოდ გადაცემულია 1.472 ელექტროსადგური — 575 ჰიდროელექტროსადგური და 897 თბოელექტროსადგური. ამან საშუალება მოგვცა მოგვეხდინა 677 მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს და მოტორსარემონტო ქარხნისა და 2.600 კოლმეურნეობის ელექტროფიცირება. გასულ წელს დადგმულია 8.867 ელექტრომოტორი და 250 ათასზე მეტი ელნათურა.

იმ სასოფლო ელექტროდანადგართა საერთო სიმძლავრე, რომლებიც 1945 წელს ამუშავდა, ექვსჯერ და მეტად სჭარბობს 1944 წელს ამუშავებულ სიმძლავრეს. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ათჯერ მეტი მცირე ელექტროსადგური, ექვსჯერ მეტი თბოელექტროსადგური.

შარშან სვერდლოვსკის ოლქში ელექტროფიცირებულ იქნა 1.007 კოლმეურნეობა. წელს აქ ძირითადად დამთავრებულ იქნება მთელი სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია. დიდ წარმატებებია მიღწეული აგრეთვე მოლოტოვის, გორკის, იაროსლავლის, ლენინგრადის ოლქებში და უკრაინაში.

სოფლის ელექტროფიკაციის განვითარებას ხელი შეუწყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ გასული წლის თებერვალში ამ საკითხზე მიღებულმა დადგენილებამ.

ამ მოძრაობაში ჩაებნენ საპროექტო, სამშენებლო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები. მოეწყო საწარმოთა ფართო საშეფო დახმარება კოლმეურნეობებისადმი. ქარხნები არა მარტო ამზადებდნენ მოწყობილობასა და მასალას ელექტროდანადგარებისათვის, არამედ ხშირად თავიანთი ძალებით ასრულებდნენ მათი აგების უმნიშვნელოვანეს სამუშაოს.

ელექტროფიკაციის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შინარესურსების მობილიზაციას. სოფლის მეურნეობამ ამ გზით 1945 წელს მიიღო 690 გენერატორი, 1.700 ელექტრომოტორი, 384 ჰიდროტურბინი და სხვ.

დიდი სამუშაოები ჩატარდება წელს. თავისი მოცულობით ეს სამუშაოები მნიშვნელოვნად გადააჭარბებენ შარშანდელს. მაგალითად, მოსკოვის, გორკისა და ლენინგრადის ოლქებში წელს განზრახულია ელექტროფიცირებულ იქნას სულ მცირე 1.500 კოლმეურნეობა.

ეახლოესი ხუთწლედის განმავლობაში სოფლის ელექტროფიკაცია ჩვენში გრანდიოზულ ოდენობას მიაღწევს. გადაწყვეტილია აგებულ იქნას 33 ათასი ელექტროდანადგარი, რომელთა ნახევარიც გამოიყენებს პატარა მდინარეების ძალას. სამი წლის განმავლობაში ელექტროფიცირებულ უნდა იქნას ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგური, სახელოსნო და მოტორსარემონტო ქარხანა, დაიდგას 700 ათასზე მეტი ელექტრომოტორი. განზრახულია საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციასთან ერთად ელექტრობა ფართოდ დაინერგოს კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებაში.

ა. ი. ვიშინსკი ინგლისში ჩავიდა

ლონდონი, 22 იანვარი. (სატასი). დღეს ინგლისში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორ სახალხო კომისარიატად—სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატად და სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატად გაყოფის შესახებ

1. გაიყოს ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატი ორ საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატად:

სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატად;

სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატად.

2. სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეყვანილ იქნას დონბასის, მოსკოვსახლო აუზის, ბოროვიჩის, ნელიდოვის, ტყიბულის, ტყვარჩელის, ახალციხისა და დასავლეთ უკრაინის ქვანახშირის რაიონების ქვანახშირის მომპოვებელი და ქვანახშირის მრეწველობისათვის მანქანების დამამზადებელი საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სსრ კავშირის დასავლეთ რაიონებში: ლენინგრადის ოლქში, ესტონეთის სს რესპუბლიკასა და ვოლგისპირა რაიონებში ფიქალების მომპოვებელი საწარმოები.

3. სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეყვანილ იქნას კუზბასის, ურალის, ყარაგანდის, შუა აზიის, აღმოსავლეთ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და სახალინის ქვანახშირის მომპოვებელი და ქვანახშირის მრეწველობისათვის მანქანების დამამზადებელი საწარმოები და ორგანიზაციები.

4. გადაეცეს სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატს საწარმოები და ორგანიზაციები თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი.
1946 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. გ. ონიკის სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. დიმიტრი გრიგოლის-ძე ონიკი სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი.
1946 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ვ. ვახრუშევის სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ვასილ ვასილის-ძე ვახრუშევი სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი
1946 წლის 19 იანვარი.

გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკ ჩანჩიბაძის გამოსვლა რადიოთი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

18 იანვარს საკავშირო რადიოკომიტეტში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა აჭარიდან, გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკმა პ. გ. ჩანჩიბაძემ. მან სთქვა:

„საბჭოთა ხალხმა დიდი პატივი დამდო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამომაყენა. დიდად ვაფასებ აჭარის მშრომელთა მიერ ჩემი კანდიდატურის წამოყენებით გამოცხადებულ ნდობას. მთელ ჩემს ძალას, უნარსა და ენერგიას მოვანდომებ ჩემი ხალხის სამსახურს. მუდამ სიამაყით ვიგონებ იმ ბედნიერებას, რომ წილად მხვდა ჩვენი მრავალეროვანი წითელი არმიის სხვა მებრძოლებთან ერთად დამეცვა საყვარელი სამშობლო. ჩვენ, გმირი წითელი არმიის ჯარისკაცებმა, რომელსაც მეთაურობს ბრძენი მხედართმთავარი გენერალისიმუსი სტალინი, მოვიპოვეთ დიდი გამარჯვებანი, რომლებმაც მთელი მსოფლიოს აღტაცება გამოიწვიეს. სხვებთან ერთად, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, მრისხანე ჟამს საბჭოთა კავშირისათვის თავდადებით იბრძოდნენ ქართველი მეომრებიც. უცხოელი დამპყრობლებისადმი შეურიგებელი სიძულვილის სულისკვეთებით აღზრდილნი, ისინი წმინდად იცავენ და თავიანთი საგმირო საქმეებით ამრავლებენ წინაპართა სახელოვან ტრადიციებს. მათ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მტრის განადგურების საქმეში. საბჭოთა კავშირის გმირთა სახელოვან პლეადაში ქართველი ხალხის ასზე მეტი შვილია.

განა მე, ღარიბი გლეხის შვილს, შემეძლო მეოცნება იმ პატივზე, რაც წითელ არმიაში მოვიპოვე?

ეს შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა კავშირში, იმ ქვეყანაში, სადაც ყველა ადამიანი თანასწორია, ქვეყანაში, სადაც ადამიანის თავისუფლება განმტკიცებულია სტალინური კონსტიტუციით, დემოკრატიულ უფლებათა დიადი ქარტიით.

ამჟამად ჩვენი სახელმწიფო შევიდა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ეპოქაში. წითელი არმია და მისი მხედართმთავრები მუდამ მზად არიან დაიცვან საბჭოთა ხალხების საამური და ბედნიერი ცხოვრება“.

რადიოთი ამხ. პ. გ. ჩანჩიბაძის გამოსვლის შემდეგ მისი სიტყვა გადათარგმნილ იქნა არაბულ და ირანულ, აგრეთვე თურქულ ენებზე. შემდეგ დიქტორმა წაიკითხა ნარკვევი, რომელშიც მოთხრობილია წითელი არმიის ამ გამოჩენილი მხედართმთავრის ცხოვრების გზა, სამამულო ომის პერიოდში მისი დამსახურება.

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომუნიკე გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაყოფის შესახებ

1. ბერლინის კონფერენციაზე მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ გერმანიის ფლოტის გამოსაყენებლადვარგისი წყალზედა გემები, მათ შორის ის გემები, რომლებიც დაწყებული დროის მანძილზე, შეიძლება მოყვანილ იქნან ვარგის მდგომარეობაში, ოცდაათ წყალქვეშა ნავთან ერთად თანაბრად იქნება გაყოფილი სამ სახელმწიფოს შორის და რომ გერმანიის ფლოტის ნაშთი მოსპობილ უნდა იქნას.

2. შესაბამისად დანიშნული იყო სამთა სამხედრო-საზღვაო კომისია ამ გადაწყვეტილების შესრულების შესახებ რეკომენდაციების წარსადგენად. ამ კომისიამ ამას წინათ მოხსენება წარუდგინა სამი სახელმწიფოს მთავრობებს. ამჟამად ეს მთავრობები იხილავენ მის მოხსენებას, ხოლო მისი რეკომენდაციები ძირითადი გემების გაყოფის შესახებ მიღებულია და ამჟამად სწარმოებს გემების გაყოფა სამ სახელმწიფოს შორის.

3. ზედმეტი წყალქვეშა ნავები შეერთებული სამეფოს ნავსადგურებში ჩაძირულია ამ შეთანხმების შესაბამისად.

ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ ამხ. შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძესთან

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში ამომრჩევლებმა შეხვედრა მოუწყეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, თბილისის საორთქლმავლო დეპოს ლუნინელ მემანქანეს, სოციალისტური შრომის გმირს შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძეს.

შეხვედრაზე მოვიდნენ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 122 საარჩევნო ოლქში შემავალი № 17, 25, 26, 27, 28, 30, 31 საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა წარმომადგენლები. აქ არიან რაიონის საწარმოთა მოწინავე ადამიანები, მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, დიასახლისები, საარჩევნო კომისიის წევრები, ნდობით აღჭურვილი პირები, აქტივი.

სცენაზე ცოცხალ ყვავილთა თაიგულებს შუა დგას ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბიუსტი. წითელ ქსოვილზე ბრწყინავენ წარწერები: „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას, ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციას მთელ მსოფლიოში!“, „ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს დიდება!“.

ამომრჩეველთა ხალხმრავალ შეკრებას ხსნის სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარმომადგენელი, № 27 საარჩევნო უბნის საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ლოლაძე.

დამსწრეთა მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით.

ტრიბუნასთან მიდის ნდობით აღჭურვილი პირი, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. დ. ცირეკიძე.

— ჩვენი ქვეყანა,—ამბობს იგი, — ჭეშმარიტად სასიხარულო დღეებს განიცდის. 10 თებერვალს საბჭოთა ადამიანები ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩევენ ხალხის სახელოვან შვილებს.

წინასაარჩევნო კრებებზე ლენინის რაიონის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენეს თბილისის დეპოს ცნობილი ინსტრუქტორ-მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე. აქ დამსწრენი მას კარგად იცნობენ. შალვა კოხრეიძე რკინიგზის ტრანსპორტის ნოვატორია. ომის დღეებში მისმა ორთქლმავალმა 152 ათასი კილომეტრი გაირბინა ურემონტოდ და ათეულ ათასობით კილოგრამი საწვავი დაზოგა.

ამხ. კოხრეიძე კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ღირსეული კანდიდატია.

მოგიწოდებთ ხმა მისცეთ ამხ. შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძეს!

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას და მის გენიალურ შემოქმედს, მთელი საბჭოთა ხალხის პირველ კანდიდატს—ბრძენ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

ამ სიტყვებს ხანგრძლივი მქუხარე ტაში ჰფარავს.

ტრიბუნასთან მიდის № 25 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა წარმომადგენელი, ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. ი. ნუცუბიძე. იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის შესახებ. ბელადის სახელის ხსენება დარბაზში მქუხარე ოვაციას იწვევს.

— ჩვენი საწარმოსათვის, — ამბობს იგი,—საამაყოა, რომ მისი კოლექტივის სახელოვანი შვილი ამხ. კოხრეიძე წამოყენებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამხ. კოხრეიძე ორ ათეულ წელზე მეტია უანგარო შრომით ემსახურება რკინიგზის ტრანსპორტს. სამამულო ომის მრისხანე დღეებში მის საორთქლმავლო გუნდებს უშიშრად დაჰყავდათ ძვირფასტვირთიანი ეშელონები ბრძოლის ადგილებში. ამხ. კოხრეიძეს, როგორც ინსტრუქტორ-მემანქანეს, აბარია 9 ორთქლმავალი. ისინი ყველანი უწუნოდ მუშაობენ. ამ ორთქლმავლების ბრიგადებმა შარშან 154 ტონა საწვავი დაზოგეს.

როგორც ნდობით აღჭურვილი პირი, მოგიწოდებთ 10 თებერვალს ხმა მისცეთ ამხ. შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძეს.

— გამარჯვებული საბჭოთა ხალხი— განაცხადა № 26 საარჩევნო უბნის ნდობით აღჭურვილმა პირმა, ინჟინერმა ამხ. კოქლავაშვილმა, — უდიდესი სიხარულით ეგებება არჩევნების დღეს —10 თებერვალს. მთელმა საბჭოთა ხალხმა თავის პირველ კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, ბრძენი ბელადი მშობლიური სტალინი (მქუხარე ტაში, შეძახილები: „გაუმარჯოს მთელი ხალხის პირველ კანდიდატს ამხანაგ სტალინს!“).

ჩვენი რაიონის მშრომელებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენეს ამხ. შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე. სამამულო ომის დღეებში მან თავი გამოიჩინა გმირული შრომით. საბჭოთა სამშობლომ ღირსეულად დააფასა ამხ. კოხრეიძის დამსახურება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას 1943 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

ამხანაგო ამომრჩევლებო! მოგიწოდებთ ხმა მისცეთ ჩვენს ღირსეულ კანდიდატს!

ტრიბუნაზე ადის ამომრჩეველი, დიასახლისი თამარ ბადრიძე.

— ქალთა შრომა,—ამბობს იგი, — მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაშია დაფასებული. ჩვენ საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი ქალები დიდ მადლობას ვუძღვნით ამისათვის მშობლიურ ბრძენ სტალინს.

ამხ. კოხრეიძე დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია. მან დაუღალავი შრომით დაიმსახურა ხალხის სიყვარული. მჯერა იგი გაამართლებს ხალხის ნდობას. № 27 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სახელით მოგიწოდებთ ხმა მისცეთ მას.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქალთა მეცხრამეტე სკოლის მოსწავლე, ახალგაზრდა ამომრჩეველი გულნარა ჭეიშვილი, № 17 უბნის ამომრჩეველ დიასახლისთა წარმომადგენელი ანა ქორიძე და ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. ი. გოძიაშვილი.

საარჩევნო უბნების წარმომადგენლებმა ამომრჩეველთა სახელით ცოცხალი ყვავილების თაიგული მიართვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს.

დასკვნით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კოხრეიძემ:

— ამხანაგებო! სიტყვები არ მყოფნის მადლობა გადაგიხადოთ დიდი ნდობისათვის. ეს ნდობა და დაფასება მე ახალ ძალას მმატებს. დაუღალავად ვიშრომებ ხალხის საქმისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს აყვავებისათვის.

— გაუმარჯოს ყველა ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით ხანგრძლივ ოვაციას მართავს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

სტახანოველთა საქალაქო სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

19 იანვარს თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოთა სტახანოველების შეჯიბრებაში მჭედლებს შორის ყველას გაუსწრო კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მჭედელმა მ. ბიკოვმა. მან დღის დავალება 835 პროცენტით შეასრულა. კარგ მაჩვენებელს მიაღწიეს იმავე ქარხნის მეორე მჭედელმა პ. ლუგანსკიმ და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელმა ქ. ილურიძემ, რომელმაც ამ დღის გეგმა 544 პროცენტით შეასრულა.

ზეინკლებს შორის დაწინაურდა თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი ე. ცაგაევი (გეგმა 497 პროცენტით შეასრულა). კარგად იმუშავეს: საორთქლმავლო დეპოში ვ. სუხიაშვილმა და თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში—ს. სარქისოვმა.

ხარატებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი მოგვცა ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველმა გ. ნიკულინმა.

მექვაბეებს შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა ახალი ბრიგადა— მ. რეშეტოვისა (სტალინის სახელობის ქარხანა), რომელმაც გეგმა 458 პროცენტით შეასრულა. მეყალიბეებს შორის ამ დღესაც ყველაზე უკეთ იმუშავა ი. მირზოევმა (26 კომისრის სახელობის ქარხანა), რომელმაც გეგმა 1.100 პროცენტით შეასრულა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **ჩხაიძე** ლიდა ბესარიონის-ასული—დიასახლისი, დაბა ლანჩხუთი, ლანჩხუთის რაიონი;
2. **ცხოვრებოვა** ოლღა ზურაბის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ოსიაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **ბაგაური** ნატალია პავლეს-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბალი** ხანუმ ნაბი ყიზი—საგარეჯოს რაიონის სოფელ მუღანლოს კოლმეურნეობის წევრი;
3. **ბოლქვაძე** ფლორენცია კონსტანტინეს-ასული—დიასახლისი, სოფელი სუფსა, ლანჩხუთის რაიონი;
4. **გურგენაძე** მინადორა ვლადიმერის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **გურგენიძე** სოფიო (სონია) ვლადიმერის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ლიტვინენკო** ალექსანდრა ვასილის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ლოხიშვილი** ანა (ანიკო) ბიშოლას-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ქორეთის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ხპირიდონოვა** ანა მიხეილის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ხურა** ალი ყიზი—დიასახლისი, სოფელი მუღანლო, საგარეჯოს რაიონი;
10. **ტიკარაძე** მართა მათეს-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ხარიტონჩიკი** მარიამ პეტრეს-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ხუგაევა** ნადია სოლომონის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ხალაწნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **ლომაძე** ეკატერინე (კატუშა) თეოფილეს-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ლორია** თამარ ფილიპეს-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **მარუქაშვილი** ნატალია (ნატო) ნიკოლოზის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ნანი** მამედ ყიზი—საგარეჯოს რაიონის სოფელ მუღანლოს კოლმეურნეობის წევრი;
5. **სარქისაშვილი** დარია დიმიტრის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის კოლმეურნეობის წევრი;
6. **სუზანბარ** ასან ყიზი—დიასახლისი, სოფელი მუღანლო, საგარეჯოს რაიონი;
7. **უსტიაშვილი** ნინო ნიკოლოზის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ფიქრიაშვილი** თამარ ივანეს-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ქოქოშვილი** ნინო საჩინოს-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ქორეთის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ქსოშვილი** სოფიო თომას-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ სასადილოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ჩხარტიშვილი** ბარბარე (ბაბინე) სიმონის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნინოშვილის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ციგროშვილი** მარიამ ხარიტონის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ რუსიანის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ხვიჩია** სარა ჩიტოს-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ხუციშვილი** ნინო ლევანის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ჯიჯეიშვილი** ნადია ვლადიმერის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **ბერუაშვილი** ნინო გრიგოლის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გიგაური** ძილო ჯარიას-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ ყუდროს ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **გიგაური** ძალუკა ბადურას-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ ყუდროს ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **გრატიაშვილი** ნატალია სანდროს-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობის წევრი;
5. **გოგუაძე** ევრაფენა ანტონის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაჭინათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **დარსალია** ლუბა პეტრეს-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო ჩიბათის კოლმეურნეობის წევრი;
7. **კანდელაკი** მარიამ ივანეს-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ პალდოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ლალიაშვილი** ანა (ანიკო) გრიგოლის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **სარჯველაძე** ქსენია სამსონის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაჭინათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **კუნჭულია** ნინო ბიქტორის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაჭინათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **უგრეხელიძე** ქეთევან ალფეზის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაჭინათის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ყოჩიშვილი** ოლღა ზურაბის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ქორეთის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ცოცანიძე** თამარ პეტრეს-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ხუციშვილი** აბდია ისაკის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ იმრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **აბულაშვილი** ეკატერინე (კატო) ანდრიას-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ანთიშვილი** დარეჯან მიხეილის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ბირკიანის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ბახბაჯაური** ნატალია (ნატო) სოფრომის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **გოგუაძე** ლოლა სიკოს-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **გუჯაბიძე** ელენე მიხეილის-ასული—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **კერატიშვილი** სოფიო (სონია) სულხანის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ ალბულაღის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ორკოშნელი** ბარბარე (ვარინკა) ზ. რაზის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **როსტომაშვილი** ეკატერინე (კატო) გიორგის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ლაციაშვილი** ელისაბედ (ელო) სანდროს-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის კოლმეურნეობის წევრი;
10. **შათირიშვილი** მაშო დავითის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის კოლმეურნეობის წევრი;
11. **შიოშვილი** ნინო დავითის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **შიოშვილი** ანასტასია (ტასო) სიმონის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ცხოვრებოვა** ევა შამილის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ წინუბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ჰიჰიაშვილი** ბარბარე სოლომონის-ასული—ახმეტის რაიონის სოფელ მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ჰოხონელიძე** ანა სოლომონის-ასული—საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1945 წ. 29 დეკემბერი. ქ. თბილისი.

აგიტავტომობილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომმა მოაწყო აგიტავტომობილი, რომელიც მორთულია ლოზუნგებითა და პლაკატებით. აგიტავტომობილს საკუთარი კინოდანადგარი და დიდძალი საარჩევნო ლიტერატურა აქვს.

აგიტავტომობილი რეისზე 1 იანვარს გავიდა. მოეწყო საღამო ალამბრის საარჩევნო უბანში. ამომრჩევლებს საბჭოთა სახელმწიფოს სტალინური საარჩევნო კანონის შესახებ ესაუბრა საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. ე. ტაკიძე.

ამომრჩევლებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც პატეფონის ფირფიტებზეა ჩაწერილი. დასასრულ დემონსტრირებულ იქნა კინოფილმი „საზღვაო ბატალიონი".

8 იანვრამდე აგიტავტომობილმა შემოიარა ალამბარი, მუხაესტატე, ლეღვა, ქაქუთი, ციხისძირი და სხვა სოფლები. აგიტბრიგადამ ჩაატარა საუბრები ამომრჩევლებთან, მოაწყო კინოფილმების ჩვენება და აგიტპუნქტებს მიუტანა 5 ათასზე მეტი ცალი სხვადასხვა სახელწოდების საარჩევნო ლიტერატურა.

145 წლის ამომრჩეველი

სოფელ პარაზულში (ლენინგორის რაიონი) ცხოვრობს 145 წლის ანა ძებისოვა. იგი თავს შესანიშნავად გრძნობს—კარგად ხედავს და ესმის. 145 წლის ამომრჩეველი ახალგაზრდებს ხშირად მოუთხრობს ძველად მშრომელი გლეხის დუხჭირ ცხოვრებაზე.

—ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ასეთ ცხოვრებას. მეორედ მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას,—ამბობს ანა ძებისოვა.

რენტგენოლოგიის 50 წელი

1895 წლის 8 ნოემბერს ვიურცბურგის უნივერსიტეტის ფიზიკურ ლაბორატორიაში ფიზიკოს პროფესორმა ვილჰელმ კონრად რენტგენმა მოახდინა უდიდესი აღმოჩენა, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას.

პირველი ცნობა „ახალი სახის სხივთა შესახებ" რენტგენმა 1895 წლის 28 დეკემბერს გადასცა ქალაქ ვიურცბურგის ფიზიკოსთა და ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარეს, მაგრამ არდადეგების გამო მოხსენება შესდგა 1896 წლის 23 იანვარს.

ამ ისტორიულ დღეს რენტგენმა უჩვენა მის მიერ აღმოჩენილი ახალი სხივები, ეგრეთწოდებული X-სხივები და აუდიტორიაში გადაიღო ხელის მტევნის რენტგენული სურათი. მოხსენებამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. საზოგადოების თავმჯდომარემ ცნობილმა ანატომმა და ჰისტოლოგმა კელიკერმა, რომელმაც დამსწრეთა სურვილი გამოთქვა, წინადადება შეიტანა ახალი სხივებისათვის დიდი მეცნიერის სახელი დაერქმიათ. მას შემდეგ X-სხივები მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც რენტგენის სხივები.

დიდია რენტგენის დამსახურება კაცობრიობის წინაშე. არ არსებობს მეცნიერებისა და ტექნიკის არც ერთი დარგი, რომელიც ამჟამად რენტგენის სხივებს არ იყენებდეს.

რენტგენის სხივების აღმოჩენა მობრუნების პუნქტი გახდა ფიზიკის განვითარებაში. მას მოჰყვა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები.

1896 წელს რენტგენის უდიდესი აღმოჩენის რამდენიმე თვის შემდეგ ფრანგმა ფიზიკოსმა ანრი ბეკერელმა აღმოაჩინა ახალი სხივები, რომლებსაც გამოასხივებენ ურანის სხვადასხვა შენაერთები, ეგრეთწოდებული ურანის სხივები. ისინი მეცნიერებაში ცნობილია, როგორც ბეკერელის სხივები. ბეკერელის სხივების დაწვრილებითი შესწავლის შედეგად პიერ და მარი კიურიმ აღმოაჩინეს ახალი რადიოაქტიური ელემენტები პოლონიუმი და რადიუმი.

რადიოაქტივობის გულმოდგინე შესწავლამ შესაძლებელი გახადა ჩაგვეხედათ ატომის სიღრმეში და გამოგვეკვლიათ მისი აღნაგობა. მისი გული. აღმოჩნდა, რომ ატომის გული შედგება მძიმე ნაწილაკებისაგან, კერძოდ პროტონებისა და ნეიტრონებისაგან, რომელთა ურთიერთმოქმედებაც განაპირობებს შიდაატომური ენერგიის არსებობას.

ამ უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ ციკლოტრონიდან ან ნეიტრონიდან პროტონის მიშვეობით ატომის გულის აძობრავებას წონასწორობიდან გამოჰყავს ატომის გული, რომელიც დაშლისას ათავისუფლებს ენერგიის გრანდიოზულ მარაგს. მაგალითად: ერთი კილოგრამი ურანი დაშლისას გამოჰყოფს 16 მილიონჯერ მეტ ენერგიას, ვიდრე ერთი კილოგრამი ყველაზე ფეთქებადი ნივთიერება.

სწორედ ეს გახდა ატომური ბომბის შექმნის წინაპირობა.

ამრიგად, რენტგენის სხივების შესწავლამ მეცნიერება ისეთ აღმოჩენებამდე მიიყვანა, რომელთაც კოლოსალური მნიშვნელობა აქვთ მეცნიერების განვითარებისათვის. მაგრამ რენტგენის სხივების როლი განსაკუთრებით დიდია მედიცინასა და ბიოლოგიაში.

ამჟამად არ არსებობს პრაქტიკული მედიცინის ისეთი დარგი, რომელსაც შეეძლოს თილად წარიმართოს რენტგენოდიაგნოსტიკისა და რენტგენოთერაპიის გამოუყენებლად. რენტგენოლოგია არის დისციპლინა, რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია სხვა სამედიცინო მეცნიერებებთან და სპეციალობებთან.

რენტგენის სხივების მეოხებით ხერხდება ფილტვების ტუბერკულოზისა თა კუჭის კიბოს ადრეული და ლია ფორმების ზუსტად გამორკვევა.

ქირურგიული ექიმი რენტგენოლოგი თითქმის შეუცდომლად დაადგენს ტვინის და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის დიაგნოზს.

ძვლის მთელი რიგი დაავადებანი მედიცინაში ცნობილი გახდა მხოლოდ რენტგენის სხივების მეოხებით.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს რენტგენის სხივებს კანის, ქალთა სასქესო ორგანოების მთელ რიგ დაავადებათა, ქირურგიულ ანთებადაავადებათა მკურნალობაში და სხვა.

მაგრამ რენტგენის სხივების როლი განსაკუთრებით დიდია ავთვისებიან ახალ წარმონაქმნთა მკურნალობისას. სხივის ენერგია (რენტგენის სხივები და რადიუმი) ქირურგიულ ჩარევასთან ერთად ჯერჯერობით კიბოს მკურნალობის ერთადერთი საშუალებაა.

რენტგენის სხივებმა უდიდესი როლი შეასრულეს არა მარტო მედიცინასა და ფიზიკაში, არამედ მრეწველობის უაღრესად მრავალ დარგშიც.

მეტალურგიაში, დაზგათმშენებლობაში, ავიაციაში, საავტომობილო საქმეში, გემთმშენებლობაში, რკინიგზის საქმეში, საარტილერიო წარმოებაში და სხვა დარგებში გამოკვლევის რენტგენულმა მეთოდმა მკვიდრი ადგილი დაიკავა, წარმოებისა და პროდუქციის ხარისხის კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი გახდა.

საბჭოთა რენტგენოლოგია, ისევე როგორც საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვა მთლიანად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნამდვილი პირმშოა.

რევოლუციამდელ რუსეთში რენტგენოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, სრულებით არ არსებობდა. რენტგენის ქსელი მეტად ღარიბი იყო. სულ 150-მდე რენტგენის დანადგარი არსებობდა რუსეთის დიდ ქალაქებში და ისიც საზღვარგარეთიდან იყო შემოტანილი.

საბჭოთა ხელისუფლების თითქმის პირველი დღეებიდანვე იწყება გაშლა რენტგენის ქსელისა, რომელიც წლითიწლობით სწრაფად იზრდება და რომელსაც ხელს უწყობდა ჩვენი საბჭოთა რენტგენის მრეწველობა. სამამულო ომამდე სსრ კავშირის სამკურნალო დაწესებულებებში 6.000 რენტგენის აპარატი იყო. საბჭოთა რენტგენოლოგიის განვითარებისათვის შექმნილია უაღრესად ხელსაყრელი პირობები—რენტგენის კაბინეტთა ფართოდ გაშლილი ქსელის გარდა მოწყობილია რენტგენის სამეცნიერო-კვლევო ინსტიტუტები, კათედრები, სამეცნიერო საზოგადოებანი.

ყოველ მშრომელს შეუძლია მიიღოს უფასო, კვალიფიციური რენტგენოლოგიური დახმარება.

რენტგენოლოგიის სწრაფი ზრდის მაგალითს წარმოადგენს რენტგენოლოგიის განვითარება საქართველოში.

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში სულ 5 რენტგენის კაბინეტი იყო და ზოგ მათგანში, სპეციალისტი რენტგენოლოგი ექიმი რომ არ ჰყავდათ, ფერშლებსა და ინჟინრებს ამუშავებდნენ.

ამჟამად ჩვენ გვაქვს 174 რენტგენის დანადგარი, მოგვეპოვება საკმაოდ ძლიერი რენტგენოლოგთა კადრები—106 რენტგენოლოგი ექიმი და 143 რენტგენტექნიკოსი. შექმნილია სპეციალური რენტგენსამონტაჟო სახელოსნო. სამედიცინო ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრა, ერთ-ერთი უძველესი კათედრა საბჭოთა კავშირში, დაარსებულია 1921 წელს. რენტგენოლოგიის კათედრა შექმნილია ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტთან და სტომატოლოგიურ ინსტიტუტთან.

საქართველოს რენტგენოლოგები დიდ პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან.

საბჭოთა რენტგენოლოგიამ დიდი როლი შეასრულა სამამულო ომის მანძილზე წითელი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მამაცი მეომრებისათვის დახმარების გაწევის საქმეში.

მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ისე დიდად ვერ აფასებს მეცნიერულ აღმოჩენებს და აღმომჩენებს, რომლებმაც ეს აღმოჩენები მოახდინეს, როგორც ჩვენი მძლავრი სოციალისტური ქვეყანა.

რენტგენის სხივების აღმოჩენის 50 წლისთავის აღსანიშნავად საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები 23 იანვარს აწყობენ საზეიმო სხდომებსა და პოპულარულ ლექციებს.

პროფესორი გ. ნაზარიშვილი
რესპუბლიკის მთავარი რენტგენოლოგი

ახალი მიღწევებით აღვნიშნოთ საბჭოთა საქართველოს სახელოვანი XXV წლისთავი

უხვი მოსავლის მისაღებად

წითელწყაროელ კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად სოფელ ლისის (თბილისის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 9 ცენტნერი ქერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერისა, ნაკვეთებში გაიტანონ 600 ურემი ნაკელი.

ლისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ვალდებულებანი ასეთია: საგაზაფხულო კულტურების თესვა დაამთავროს 25 მარტისათვის, თავთავიანი კულტურები დათესონ 65 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარისა, ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ ხორბალი, ნაცვლად 8,5 ცენტნერისა, 9,5 ცენტნერი და გადააჭარბონ ქერის საშუალო მოსავლიანობის გეგმას.

ამავე სოფლის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დადეს, რომ თესვას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდებიან, თესვას დაამთავრებენ 20 მარტისათვის, თავთავიან კულტურებს დათესენ 35,5 ჰექტარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ჰექტარისა და გაადიდებენ მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობას. ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

კუმისელმა კოლმეურნეებმაც გულდასმით განიხილეს წითელწყაროელ კოლმეურნეთა მოწოდება. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა: თესვის დაწყებამდე 20 დღით ადრე მზად ჰქონდეს ყველა საჭირო იარაღ-მანქანები, გეგმის გადამეტებით გააკეთოს 10 ცალი ურემი, 1 მარტამდე ნაკვეთებში გაიტანოს 2.487 ურემი ნაკელი, საუკეთესოდ მოემზადოს დოლისათვის, მიღებული ნამატი შეინარჩუნოს მთლიანად, ერთი ცხვრისაგან მიიღოს 5 კილოგრამი ყველი, 2,7 კილოგრამი მატყლი, ხოლო ერთ საფურაქე ძროხისაგან—1.000 ლიტრი რძე. კოლმეურნეებმა აგრეთვე იკისრეს, რომ ხორბლის, ქერის, სიმინდის, მზესუმზირას საშუალო მოსავლიანობის გეგმას გადააჭარბონ და 1946 წელს უხვი მოსავალი მოიყვანონ.

ქარელელ კოლმეურნეთა სიტყვა

საერთო აღმავლობის დღეებში, რასაც მთელი ჩვენი ქვეყანა განიცდის, ქარელის რაიონის კოლმეურნეებიც აჩაღებენ თავდადებულ შრომას წითელწყაროელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად.

ახალსოფლის ბეზენჩუკელების სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა: სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების 1946 წლის გეგმა შეასრულოს 25 თებერვლამდე, 12 გუთანი შეაკეთოს 24 იანვრამდე, ბრიგადები და რგოლები დააკომპლექტოს 25 იანვრამდე. სათესლე მასალა უკვე მზად აქვთ, მუშა საქონელი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. კოლმეურნეობამ იკისრა: ჰექტარზე საშუალოდ პურის მოსავალი მიიღოს 12 ცენტნერი, ჭარხლისა კი—250 ცენტნერი, საჭარხლე ნაკვეთებზე გაიტანოს 60 ტონა ნაკელი, თესვა დაამთავროს ვადაზე 10 დღით ადრე.

ბეზენჩუკელების სახელობის კოლმეურნეობამ შეჯიბრებაში გამოიწვია სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობა. წითელწყაროელ კოლმეურნეთა მიმართვა განიხილეს და ახალი ვალდებულებანი იკისრეს სოფელ ზემოხვედურეთის, სამებლის, ბრეთის და სხვა კოლმეურნეობებმა. კოლმეურნეები შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ალიო. ადამია

შენ გვიწინამძღვრე...

ჩვენ მარად გვახსოვს ის დღე, ის წუთი,
იანვრის დილა ყინვაგაკრული,
როცა სიკვდილი ავი და ურჩი
ლენინს მიეპრა ხმალამართული...

და შეაჩერა რხევა ჩინარმაც,
დუმილი გადგა, როგორც მისნობა...
მერე სიკვდილი გაუჩინარდა,
ლენინთან დარჩა მარადისობა!

დუმილში, ხალხის მწარე გლოვაში,
როგორც იმედი ენით უთქმელი,
მასთან შეზრდილი მრავალ ბრძოლაში,
მასავით მტკიცე და შეუბრელი —

იდექი ქვეყნის აზრი და ნება,
შეურყეველის ფიცით დიადით;
და ხალხის გულში კვლავ აელვარდა
შვება, ხალისი და განთიადი!

* * *

შემდეგ მრავალი წელი წავიდა,
იყო დარი და იყო ავდარი;
და არ გვტოვებდი ერთი წამითაც
მამა, ბელადი და წინამძღვარი!

შემდეგ მრავალი წავიდა წელი,
ბევრი წავშალეთ ძველის საზღვარი;
გზას გვიშუქებდი შენ, გზაუცვლელი
მამა, ბელადი და წინამძღვარი!

და მერე ომის დიდი ხანძარი...
რა უეცარი იყო გრიგალი!
ჩვენი მამული, ჩვენი სახლკარი
უფსკრულის კართან იყო მიმდგარი, —

შენ გვიწინამძღვრე, — გადაგვარჩინე,
და ავისმდომელს მძლავრად დაჰკარი;
შენ, მშობლიურო, გადაარჩინე
ჩვენი მამული, ჩვენი სახლკარი!

შენ გვიწინამძღვრე უმკაცრეს დროშიც,
ყოველდღე გვათბობ შენის ალერსით, —
მისთვის ელვარებს ჩვენს სამშობლოში
მზე, ყველა მზეზე უბრწყინვალესი!

კალე ბოზოხიძე

ლენინისადმი

ლენინ, შენი მზით ვართ ანთებული,
გვახარებს აწმყო და მომავალი,
დავძლიეთ მტერი გააფთრებული
და გამარჯვება ვნახეთ მრავალი!

სიხარულია სამშობლო ჩვენი,
დიდებისაკენ გმირთა მხმობელი,
და წინ მიგვიძღვის სტალინი ბრძენი
თვით განთიადის მანათობელი.

გადმოლღვარულან დღენი ხალისად,
მოუტანიათ ძალა მთებური
და სიყვარული დიად ხვალისა
არის ოქტომბრის მზით ანთებული.

ფოლადის ნება ვერვინ შელახა,
გზას გვინათებდი — დავძლიეთ ბნელი;
ყოველ საქმეში მუდამ ჩვენთან ხარ
დიადო ლენინ, ძვირფასო ლენინ!..

ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

ჩვენს ქარხანას, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა ლითონდამმუშავებელ საწარმოს, საგრძნობი რაოდენობით აკლდა და დღესაც აკლია წამყვანი პროფესიების კვალიფიციური მუშახელი. მიუხედავად ამისა ქარხანა საწარმოო დავალებებს მაინც ასრულებდა და განვლილი 1945 წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა.

რამ გაგვიადვილა საწარმოო დავალებათა შესრულება, როცა კვალიფიციური მუშახელი საკმაო რაოდენობით არ გვყავდა?

საქმე გაგვიადვილა კადრების მომზადების მაღალ დონეზე დაყენებამ, სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ. მაგრამ ჩვენ ნაკლოვანებებიც გვაქვს. ირკვევა, რომ, მაშინ, როდესაც ზოგი ჩვენი წამყვანი პროფესიის კვალიფიციური მუშა, მაგალითად, მჭედელი ვ. კორძაძე, მეყალიბე გ. მელაძე და სხვები 700 და 800 პროცენტით, ხოლო ი. მირზოევი 1.000 და მეტი პროცენტით ასრულებენ გეგმებს, მთლიანად მთელი ქარხნის კოლექტივი თვიურ საწარმოო დავალებებს 102-103 პროცენტით ასრულებს.

ეს იმით აიხსნება, რომ ცალკე სტახანოველთა მიღწევები ვერ გადავაქციეთ მთელი კოლექტივის მონაპოვრად, ვერ შევსძელით საერთო აღმავლობის მიღწევა, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება.

ჩვენი ქარხნის სამჭედლო საამქროში, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა მუშაობდეს სულ ცოტა 8 მჭედელი მათი მეწყვილეებით, ე. ი. დამხმარე მეურთვეებით. ჩვენ კი მხოლოდ ორი მჭედელი გვყავს—ვ. კორძაძე და ა. არეშოვი. კორძაძე, ჯერ კიდევ საქალაქო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმამდე ყოველდღიურ დავალებებს 300-400 და ზოგჯერ 700-800 პროცენტით ასრულებდა. 200-300 პროცენტით ასრულებდა გეგმებს ამხ. არეშოვიც. ამნაირად, მარტო ეს ორი კაცი თითქმის უკვე ჰფარავდა მჭედლებზე არსებულ მოთხოვნილებას, მაგრამ კიდევ მეტი რომ მოეცათ მათ, კიდევ უკეთესი მაჩვენებლებისთვის რომ მიეღწიათ, ამისათვის ჩვენ—ქარხნის ხელმძღვანელები სათანადოდ არ ვზრუნავდით.

მჭედლებს შორის საქალაქო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შემდეგ ვ. კორძაძე გეგმებს 1.000 და მეტი პროცენტით ასრულებს. ამხ. არეშოვიც ახლა ორმაგად მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე შეჯიბრებაში ჩაბმამდე. ყველა კვალიფიციურ მჭედელს შეუძლია ისევე წარმატებით იმუშაოს, როგორც ამხ. კორძაძე მუშაობს.

ამხ. ვ. კორძაძე დილით მოვა თუ არა, იმ წუთსვე შეუდგება თავისი სამუშაო ადგილის მოწყობას: იმარაგებს ხელსაწყო იარაღებს, ეცნობა დღიურ დავალებას; როგორც კი გაიგებს, თუ დღეს რა დეტალების გამოშვებაზე იმუშავებს, შეუდგება მის გამოსამუშავებლად ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებას, წინასწარვე ვარაუდობს ცალკე ოპერაციებს და სათანადო ხელსაწყოებსაც ისე იმარაგებს, რომ ოპერაციის დროს არ დასჭირდეს ამა თუ იმ ხელსაწყოს ძებნა, ზედმეტი დროის ხარჯვა.

ამხ. კორძაძე სადეტალე ლითონს ახურებს ორ ქურაში. ეს იმიტომ, რომ სანამ ერთს ქურაში გახურებულ დეტალებს ერთი ოპერაციის მიხედვით დაამუშავებს, ამასობაში მეორე ქურაშიც გახურდება სადეტალე ლითონი. მოათავებს თუ არა მეორე ქურიდან გახურებული ლითონის დამუშავებას, პირველ ქურაში დეტალები უკვე მზად არიან მეორე ოპერაციისათვის და ა. შ. მუშაობის ასეთი მეთოდი მეტად ნაყოფიერი გამოდგა. მუშას არ სჭირდება ზედმეტი მოძრაობისათვის ენერგიის ხარჯვა, იგი ნაკლებ იღლება, ხოლო ოპერაციების ასეთი ხაზით დეტალების დამუშავებისას მჭედელსა და მის თანაშემწეს შორის ჰარმონიულობა მყარდება, საქმე წინ მიდის და მუშაობის ხალისი მეტია. ორ ქურაში სადეტალე ლითონის გახურების წესი ვ. კორძაძემ მხოლოდ ახლახან შემოიღო და ამან გამოიწვია გეგმის შესრულების ორმაგად ზრდა.

რამდენიმე დღის წინათ, დამხმარე მუშაკის დაუდევრობით ამხ. კორძაძისათვის მეორე ქურა არ გაეხურებინათ. ამ დღეს ამხ. კორძაძემ გეგმა 500-იოდე პროცენტითაც ძლივს შეასრულა. ეს პატარა ფაქტიც მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ადგილის კარგად მოწყობას, შეჯიბრებაში ჩაბმულისათვის დახმარების გაწევას.

ასეთივე, ერთის შეხედვით, მარტივი გაუმჯობესებანი შეიტანეს საწარმოო პროცესში მეყალიბეებმა ი. მირზოევმა, გ. მელაძემ, ტ. არამიანმა, მევაგრანკე ი. ბურდულმა, ზეინკალმა გ. ყველაშვილმა, ხარატმა გ. გასიშვილმა, მეორე ხარატმა მ. აკოფოვმა და სხვ.

სულ ცოტა ხანში ჩვენს ქარხანაში განხორციელებულ იქნა მოწინავე სტახანოველთა მიერ შემოტანილი 14 რაციონალიზატორული წინადადება და ამან საუკეთესო ნაყოფი მოგვცა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ ამას წინათ საწარმოთა ხელმძღვანელებს სამართლიანად მიგვითითა, რათა ცალკეულ სტახანოველთა მიღწევები საერთო მონაპოვრად გავხადოთ და მივაღწიოთ აღმავლობას. ამ მიმართულებით ვმუშაობთ ახლა და იმედი გვაქვს, რომ მოკლე ხანში ეს მიზანი მიღწეული იქნება.

ა. მელაძე
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ალექსანდრე ეპიფანეს-ძე თოფურიძე

ამხ. ა. ე. თოფურიძე დაიბადა 1902 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ გეჯეთში. 1920 წელს შევიდა არალეგალურ კომკავშირულ ორგანიზაციაში და აქტიურად ასრულებდა მის დავალებებს.

1923 წელს ამხ. თოფურიძე შედის სამხედრო-პოლიტიკურ სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ არმიაშია პოლიტიკურ სამუშაოზე.

1925 წელს ამხ. თოფურიძე მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად.

1930-დან 1932 წლამდე ამხ. თოფურიძე ხელმძღვანელ პროფკავშირულ სამუშაოზეა აფხაზეთში. 1933-1937 წლებში იგი მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიონულ კომიტეტში, 1937 წლიდან კი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში ინსტრუქტორად, გამის მოადგილედ, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ.

1939 წლიდან ამხ. ა. ე. თოფურიძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანია კადრების დარგში.

სამამული ომის წლებში ამხ. თოფურიძე მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნა **ლენინის** ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. ა. ე. თოფურიძე სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრია.

ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილი დაიბადა 1888 წელს ქალაქ გორში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, რის შემდეგ კიევის უნივერსიტეტში შევიდა. კიევში აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მუშაობაში. 1913 წელს, არდადეგების დროს საქართველოში ყოფნისას, დაპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. ოთხი თვის შემდეგ მეფის ხელისუფლებამ იგი ხარკოვში გადაასახლა. იქ სამ წელიწადს სწავლობდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. შემდეგ წლებში დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეგნატაშვილი ეწეოდა ფართო პედაგოგიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. იგი მუშაობს პასუხსაგებ თანამდებობებზე: რედაქტორ-კონსულტანტად საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობაში და რედაქტორის მოადგილედ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში.

1937 წლიდან ამხ. ეგნატაშვილი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

ამხ. ეგნატაშვილი სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი

ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილი დაიბადა 1905 წელს ხაშურის რაიონის სოფელ ბუდაურაში. 1921 წელს იგი შედის კომკავშირში და ეძლევა წლის განმავლობაში პასუხსაგებ კომკავშირულ სამუშაოზეა.

1926 წელს ამხ. ცხოვრებაშვილი პარტიაში შევიდა. 1927-დან 1932 წლამდე იგი ხელმძღვანელ პროფკავშირულ სამუშაოზე იყო, ხოლო შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიონის მდივნად. 1937 წელს ამხ. ცხოვრებაშვილს ირჩევენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის მდივნად. 1937-38 წლებში იგი მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნად. 1938 წელს ირჩევენ საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

ამხ. ცხოვრებაშვილი არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი და სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ამხ. ცხოვრებაშვილი მთავრობამ დაჯილდოდა **ლენინის** ორდენით. 1944 წელს სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის იგი დაჯილდოეს შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1945 წელს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით. ამხ. ცხოვრებაშვილი დაჯილდოებულია აგრეთვე მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

მიხეილ კონსტანტინეს-ძე დვალი

ამხ. მ. კ. დვალი დაიბადა 1905 წელს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ონამირის რაიონის სოფელ ძეიუტაში. 1925 წელს მან დამთავრა სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 5 წლის შემდეგ—ყრუსკაიას სახელობის კომუნისტური აუზრდის აკადემია. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ამხ. დვალი რამდენიმე წელს მუშაობდა სახალხო განათლების ორგანოებში და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1935 წელს მას მიენიჭა დოცენტის წოდება. მას ეკუთვნის მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის მთელი რიგი სტატიები და ბროშურები.

1938 წელს ამხ. დვალი შედის საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში. 1937-1938 წლებში იგი მუშაობს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრად, ხოლო 1938 წლის დეკემბერში ირჩევენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

ამხ. მ. კ. დვალი არის სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ამხ. დვალი დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით. სამამულო ომის წლებში თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ამხ. დვალი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

იასონ ბასილის-ძე კოკოსკერია

საბჭოთა კავშირის გმირი ი. ბ. კოკოსკერია დაიბადა 1914 წელს გაგრის რაიონის სოფელ კალდახვარში, გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება.

ომამდე ამხ. კოკოსკერია მუშაობდა ბრიგადირად მშობლიურ კოლმეურნეობაში. მისი ბრიგადა მოწინავე იყო. იგი სანიმშეოდ უვლიდა ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსების პლანტაციებს.

სამამულო ომის ფრონტზე, სადაც ამხ. კოკოსკერია სამ წელს იყო, მან თავი გამოიჩინა როგორც სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა. დისციპლინიან და უშიშარ მეკავშირეს ამხ. კოკოსკერიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის, გამოჩენისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

კავკასიონიდან ბუდაპეშტამდე—ასეთია ამხ. კოკოსკერიას საბრძოლო გზა. მთავრობის ექვსი ჯილდო და ამხანაგ ი. ბ. სტალინის 18 მადლობა დაამსახურა მან, ასრულება რა თავის წმიდათა-წმიდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ამაკ წინათ ამხ. კოკოსკერია დემობილიზებულ იქნა და მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. იგი პირველი დღეებიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის სამეურნეო და სახოგადოებრივ ცხოვრებაში.

თამარ მიხეილის-ასული მათიაშვილი

ამხ. თ. მ. მათიაშვილი დაიბადა 1908 წელს სოლხილის რაიონის სოფელ ჯუგაანში, გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა და ერთდროულად მასწავლებლობა დაიწყო.

თამარ მიხეილის-ასული მათიაშვილი 20 წელია ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1943 წლიდან იგი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის თბილისის ქალთა მეორე საშუალო სკოლაში. ამხ. მათიაშვილი დიდ შრომას ახმარს მაგშეების სწავლებას. იგი განუწყვეტლივ აღრმავებს თავის ცოდნას, იმდიდრებს გამოცდილებას და ამაღლებს სწავლების ხარისხს. მისი გაკვეთილები, რომლებიც მიმზიდველია თავისი ფორმით და ღრმაა შინაარსით, უზრუნველჰყოფენ მოწაფეთა მაღალ წარმატებას.

ამხ. მათიაშვილი თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების საზოგადოებრივი ინსპექტორია. იგი ესწრება სხვა სკოლების მასწავლებელთა გაკვეთილებს, უზიარებს თავის გამოცდილებას, ზრუნავს ქალაქის სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების სწორად დაყენებისათვის, დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა პედაგოგებს.

ალექსი გუჯას-ძე აიბა

ტყვარჩელის წარჩინებული მეშახტე ა. გ. აიბა დაიბადა 1911 წელს გაგრის რაიონის სოფელ კალდახვარში, დარიბი გლეხის ოჯახში. 18 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა, მეშობდა გაგრის რაიონის საწარმოებში.

1940 წელს ამხ. აიბა მუშაობას იწყებს ტყვარჩელის შახტებში. ამ ბტკიცედ გადასწყვიტა დაუფლებოდა ხამთო საქმეს და დაყენებით იმალებდა კვალიფიკაციას. მალე ეუფლება ამშენდის, ხოლო შემდეგ გამთრელის სპეციალობას, წარმატებით ასრულებს აგრეთვე ათისთავისა და დისპეტჩერის მოვალეობას.

ამხ. აიბა, სადაც კი მუშობს, ყველგან სტახანოველური შრომის ნიმუშებს იძლევა. მოწინავე მეშახტეს 1944 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად იღებენ.

სამამულო ომის დღეებში ამხ. აიბა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვანახშირის ამოღების გადიდებულ საკენ მიმართულ ყველა ღონისძიებაში, დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა მეშახტეს სამთო საქმის დაუფლებაში.

ქვანახშირის ამოღების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ა. გ. აიბა დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.



ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძე

პროფესორი ნ. ა. ყიფშიძე საბჭოთა მედიცინის მოწინავე ძალაფრეა. მისი მრავალფეროვანი და ნაყოფიერი საექიმო, სამეცნიერო და სახოგადოებრივი მუშაობა ფართოდ არის ცნობილი. სამი ათეული წლის განმავლობაში ნ. ა. ყიფშიძე კეთილსინდისიერად და დაუღალავად ემსახურება შრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მის კალამს კუთვნის 45 მეცნიერული შრომა.

სამამულო ომის წლებში პროფესორი ყიფშიძე მთელ თავის ღრმა ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას ახმარდა წითელი არმიის დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლების მკურნალობის საქმეს. იგი საზოგადოებრივი დატვირთვის წესით მუშაობდა სამ ჰოსპიტალში, მონაწილეობას იღებდა სამხედრო-საექიმო კომისიებში.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა პროფესორ ნ. ა. ყიფშიძის მრავალი წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას და დაჯილდოვა იგი **ლენინის** ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „სასატარო ნიშნის“ ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

ნ. ა. ყიფშიძე დაიბადა 1887 წელს ქალაქ გორში მოსამსახურე-ტელეგრაფისტის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში როგორც სამხედრო ექიმი, შემდეგ ნ. ა. ყიფშიძე თბილისში დაბრუნდა, სადაც გაიარა დიდი გზა ექიმ-ორდინატორიდან პროფესორამდე ორ მეცნიერების ოამსაზრეველ მოღვაწემდე. 1941 წლიდან იგი განაგებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შინაგან სნეულებათა კათედრას.

სასამართლო პროცესი უკრაინის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

19 იანვრის დილის სხდომა

კიევი, 19 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ **ბურკჰარდტის** დაკითხვა.

ბურკჰარდტი იძულებულია აღიაროს, რომ იგი დანაშაულობას სჩადიოდა, როგორც ჰიტლერელთა სარდლობის წარმომადგენელი, რომელიც დაინიშნა ზურგის კომენდანტის პოსტზე. გერმანიის არმიაში სამსახურისათვის მას არაერთხელ მიუღია უმაღლესი ჯილდო და თანამდებობრივი აღმატება.

სამხედრო ტრიბუნალი გადადის მე-4-ბის შახტის ტერიტორიაზე მოსპობილი 75 ათასი უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქის დაღუპვის გარემოებათა დაზუსტებაზე.

ბრალდებული ბურკჰარდტი ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა ამ კოშმარული ბოროტმოქმედებისათვის და ამბობს, რომ საბჭოთა ადამიანების მასობრივი მოსპობა მოაწყეს სდ-ის ორგანოებმა. მაგრამ სასამართლო გამოძიების პროცესში სამხედრო ტრიბუნალი არკვევს, რომ ბურკჰარდტმა იცოდა ამ დახვრეტის შესახებ, რომელიც მოხდა მისი არმიის ზურგის მოქმედების ზონაში და სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ამ დახვრეტისათვის, ისევე როგორც სოფელ კონსტანტინოვკისა და ვოზნესენკის დაწვისათვის.

შემდეგ სასამართლო იწყებს 1935 წლიდან ეგრეთწოდებული ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრის, გერმანიის არმიის ყოფილი კაპიტნის—ბრალდებულ **ვალიზერის** დაკითხვას, რომელსაც კიევის ოლქის სოფელ ბოროდიანკის ორტსკომენდანტის (ადგილობრივი კომენდანტი) თანამდებობა ეკავა. ვალიზერი არა მარტო ხელმძღვანელობდა ბოროდიანკისა და ახლომახლო სოფლების საბჭოთა მოსახლეობის მასობრივ ხვრეტას, არამედ პირადადაც უშუალოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ ბოროტმოქმედებებში.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში ირკვევა, რომ ბრალდებული ვალიზერი პირად მონაწილეობას იღებდა მშვიდობიან მოქალაქეთა წამებასა და ხვრეტაში.

ბრალდებული ვალიზერი დამნაშავედ სცნობს თავს აგრეთვე იმაში, რომ ცოცხლივ დასწვა 40 საბჭოთა მოქალაქე, რომელთა შორის იყვნენ ქალები, მოხუცები და ბავშვები.

სასამართლოში ირკვევა აგრეთვე სოფელ მირჩაში ადამიანთა ცოცხლივ დაწვის მეორე შემთხვევა.

სასამართლო იწყებს კიევის ოლქის ბოროდიანკის რაიონის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო კომენდანტის — ბრალდებულ **ბეკენჰოფის** დაკითხვას.

წინასწარი გამოძიების დროს დადგენილი ფაქტები, მოწმეთა ჩვენებები, სახელმწიფო საგანგებო კომისიის აქტები აიძულებენ ბეკენჰოფს დამნაშავედ სცნოს თავი უმძიმეს დანაშაულობებში, სრულიად უდანაშაულო ადამიანთა ხვრეტაში, ბოროდიანკიდან 3,000 საბჭოთა მოქალაქის გარეკვაში, საბჭოთა ადამიანების ცემაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოსპობაში, საცხოვრებელი შენობების დანგრევასა და ძარცვაში.

ამით დამთავრდა სასამართლოს დილის სხდომა.

19 იანვრის საღამოს სხდომა

19 იანვრის საღამოს სხდომა დაიწყო გერმანიის არმიის ობერ-ფელდფებელის — ბრალდებულ **შადელის** დაკითხვით, რომელიც 1943 წლის იანვრიდან ნოემბრამდე ბოროდიანკის ორტსკომენდატურის კანცელარიის უფროსად მსახურობდა.

დაკითხვის მსვლელობაში შადელი იძულებულია დამნაშავედ სცნოს თავი მისთვის წაყენებულ ბრალდებებში.

სასამართლო იწყებს გერმანიის პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი ბრალდებულის **შეერის** დაკითხვას, რომელიც 1941 წლის 15 ოქტომბრიდან 1943 წლის მარტამდე მცველი პოლიციისა და ჟანდარმერიის უფროსად იყო კიევისა და პოლტავის ოლქების ტერიტორიაზე.

მისი ბრძანებებით სპობდნენ ათასობით საბჭოთა მოქალაქეს, მოსახლეობის დიდ რაოდენობას ერეკებოდნენ მონობაში, მისი ბრძანებებით ხდებოდა მასობრივი ჩხრეკა-ძარცვა დასახლებულ პუნქტებში, ხალხს ერეკებოდნენ სპეციალურ ბანაკებში, სადაც აწამებდნენ, შემდეგ კი გერმანიაში გზავნიდნენ. ჟანდარმები და პოლიციელები, რომელთაც შეერი ხელმძღვანელობდა, აოხრებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, იტაცებდნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ქონებას, ხოლო 1941 წლის 3 ნოემბერს ააფეთქეს კიევ-პეჩორის ლავრის მიძინების ტაძარი. მთელი დაკითხვის მანძილზე ბრალდებული შეერი ცდილობს სხვა პირთ გადააბრალოს თავისი დანაშაული, მაგრამ კონკრეტული ფაქტები მოწმობენ, რომ სწორედ იგი ჰქმნიდა პოლიციისა და ჟანდარმერიის დასაყრდენ პუნქტებს ვითომდა პარტიზანებთან საბრძოლველად, ერეკებოდა მუშებს გერმანულ კატორღაში, ძალით ართმევდა მოსახლეობას პროდუქტებს, ხელმძღვანელობდა საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ ხვრეტას.

ამით დამთავრდა სასამართლოს საღამოს სხდომა.

20 იანვრის დილის სხდომა

კიევი, 20 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ **შეერის** დაკითხვა. იგი ლაპარაკობს იმ სადამსჯელო ექსპედიციებზე, რომლებიც მიმართული იყო თითქოს პარტიზანთა წინააღმდეგ, მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტაზე, პროდუქტებისა და ნივთების ძალად ჩამორთმევაზე. ბრალდებული დაწვრილებით ჩერდება კიევში მომხდარ თათბირზე, რომელსაც ატარებდნენ როზენბერგი და კოხი, და აღნიშნავს, რომ მიიღო „მითითება“ გაედიდებინა გერმანიაში მუშახელისა და სურსათის გაგზავნა. თათბირის შემდეგ შეერმა იხმარა „მტკიცე ზომები“ მიღებულ მითითებათა განსახორციელებლად.

პროკურორი: რამდენი მშვიდობიანი მცხოვრები გარეკეს კიევიდან გერმანიაში?

შეერი: როგორც შევიტყვე, დაახლოებით 142 ათასი კაცი.

სასამართლოში მთელი სისრულით გამოაშკარავდა კიევ-პეჩორის ლავრის აფეთქების საშინელი სურათი. აფეთქებამდე რამდენიმე დღით ადრე გერმანელებმა ახლომდებარე ქუჩებიდან გაასახლეს ყველა მცხოვრები იმისათვის, რომ დაეფარათ ამ უსაზიზღრესი დანაშაულობის კვალი. გერმანელებმა წინასწარ დანაღმეს მიძინების ტაძარი და სხვა კორპუსები და ელოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს ასაფეთქებლად. 1941 წლის ნოემბერში კიევის პეჩორის ლავრა ინახულა სლოვაკი ხალხის გამცემმა ტისომ. ეს ხელსაყრელი მომენტი გახდა პროვოკაციისათვის. მას შემდეგ, რაც 1941 წლის 3 ნოემბერს ტისო გამოვიდა ლავრიდან, ლავრა აფეთქებულ იქნა. შემდეგში ლავრის აფეთქებას გერმანელები მიაწერდნენ საბჭოთა პატრიოტებს, რომლებიც თითქოს თავს უნდა დასხმოდნენ ტისოს. მაგრამ ისეთი ნაცადი ბანდიტიც კი, როგორიც ბრალდებული შეერია, იძულებული გახდა ეღიარებინა სასამართლოში, რომ ეს საქმე გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩაიდინეს.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში ირკვევა, რომ შეერი საბჭოთა ადამიანების ჟლეტის ორგანიზატორი იყო.

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული **კნოლი**.

სამხედრო ტრიბუნალი იწყებს ბრალდებულ **იზენმანის** დაკითხვას. იზენმანი უკრაინის ტერიტორიაზე მისი ოკუპაციის დროს საბჭოთა მოქალაქეების ურიცხვი მასობრივი დახვრეტის მონაწილე იყო.

მთელი რიგი კითხვებით პროკურორი აზუსტებს ქალაქებში ლვოვში, ბერდიჩევსა და ტარაშჩაში საბჭოთა მოქალაქეების დახვრეტაში ბრალდებულ იზენმანის პირად მონაწილეობას.

დილის სხდომა მთავრდება ბრალდებულ იზენმანის დაკითხვით.

სასამართლოს შემდეგი სხდომა შესდგება 22 იანვარს.

სასამართლო პროცესი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

20 იანვრის დილის სხდომა

მინსკი, 20 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა ჰესის საქმის გამო. იმ მხეცობის შესახებ, რასაც ჰიტლერელები მოლოდეჩნოს ოლქში სჩადიოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ებრაული მოსახლეობის მიმართ, აჩვენეს მოწმეებმა **ი. ვ. ავლასევიჩმა, მ. ი. ხოდისმა** და **ო. ი. ვოიტეხოვსკაიამ.** მოწმეები **მ. მ. იასტომბი** და **პ. ი. დობინი** სასამართლოს აჩვენებენ ჰიტლერელების მიერ ქალაქ მინსკსა და ვილეიკაში მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტის შესახებ.

მოწმეთა ჩვენების შემდეგ სამხედრო ტრიბუნალი გადადის ბრალდებულის, პოლიციის გენერალ-მაიორ **ჰერფის** დაკითხვაზე.

გამოძიებით გამორკვეულია, რომ ჰერფი ბელორუსიაში „წესრიგის პოლიციის“ უფროსად, ხოლო შემდეგ პარტიზანებთან ბრძოლის მთავარი შტაბის უფროსად ყოფნის დროს ჟანდარმერიასა და პოლიციას ბრძანებებს აძლევდა საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრებისა და დახვრეტის შესახებ. მისი ბრძანებით ქალაქ მინსკსა და მინსკის ოლქში ხდებოდა მასობრივი მკვლელობა. ათასობით საბჭოთა ადამიანს ათავსებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში და იქ ხოცავდნენ. ჰერფი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანიის მონობაში საბჭოთა ადამიანების გარეკვაში, ბრძანებას იძლეოდა გადაეწვათ ქალაქები და სოფლები, გაეძარცვათ მოსახლეობის ქონება.

პროკურორი: გვიამბეთ, ჰერფ, იმ სადამსჯელო ექსპედიციის მოწყობაზე, რომელსაც „გერმანი“ ეწოდებოდა.

ჰერფი: ექსპედიცია მოაწყო ობერგრუპენფიურერმა ბახმა ბელორუსიისა და უკრაინის საზღვარზე. როდესაც იგი იქიდან წამოვიდა, მე დავალება მივიღე პირადად მომეხსენებინა ჰიმლერისათვის ამ ექსპედიციის შედეგების შესახებ. ამ სადამსჯელო ექსპედიციის დროს მოსპობილ იქნა ხუთი თუ ექვსი ათასი კაცი.

შემდეგ ჰერფის დაკითხვიდან ირკვევა, რომ პარტიზანებთან ბრძოლის საბაბით მისი ბრძანებით სპობდნენ სოფლებს, ხვრეტდნენ ასიათასობით სრულიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქეს, ხოლო ახალგაზრდობას გერმანიის მონობაში მიერეკებოდნენ.

ამით მთავრდება დილის სხდომა. სამხედრო ტრიბუნალის შემდეგი სხდომა მოხდება 22 იანვარს დილის 11 საათზე.

საცდელი ფაბრიკა რამის ბოჭკოს გადასამუშავებლად

მოსკოვი, 17 იანვარი. (საქდესი). სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადაწყვეტილება მიიღო მიმდინარე წელს საქართველოს სსრ ცხაკაიას რაიონის ქარხანაში მოეწყოს რამის ბოჭკოს გადამამუშავებელი საცდელი ფაბრიკა. 1946 წელს უნდა დამთავრდეს ამ ბოჭკოვანი მცენარის პირველადი გადამუშავების პუნქტების აღდგენა. ლაფნეული ბოჭკოების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს წინადადება მიეცა ტექნიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს საცდელი ფაბრიკის მოწყობაში.

ჭურჭლის გამოშვება

მიმდინარე წელს შუშის მრეწველობა მნიშვნელოვნად აფართოებს მაგიდის, სააფთიაქო და საპარფიუმერიო ჭურჭლის, ტექნიკური მინისა და სხვა ნაწარმის გამოშვებას.

ჭიქების წარმოება დიდდება 80 პროცენტით. მომხმარებელი მიიღებს გაცილებით მეტ თხელ ჭიქას დიადკოვოსა და გუს-ხრუსტალის ქარხნებიდან. ფართოვდება აგრეთვე თლილი ჭიქების წარმოება. საექსპლოატაციოდ გადაცემული იქნება ავტომატები, რომლებიც მოგვცემენ 25 ათასამდე ასეთ ჭიქას დღეღამეში.

ერთიორად და მეტად გაიზრდება ფერადი შუშისა და განსაკუთრებით გამძლე „პაირექსის“ შუშისაგან გრაფინების, არყისა და ღვინის ჭიქების და საფერფლეების გამოშვება.

ახალი ავტომატების ამუშავებით ბოთლების წარმოება ერთისამად გაიზრდება. („იზვესტია“).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

21 იანვრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 21 იანვარი. (საქდესი). ტრიბუნალის 21 იანვრის დილის სხდომაზე ბრალდების ფრანგი წარმომადგენელი გერტოფერი განაგრძობდა ჰიტლერელთა მიერ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიური გაძარცვის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გერმანელების მიერ საწარმოთა ხელში ჩაგდება,—ამბობს ბრალმდებელი,—მეტწილად ხორციელდებოდა ბრალდებულ გერინგის დირექტივების შესაბამისად.

ოკუპირებული ქვეყნების იმ საწარმოების კონტროლს, რომლებსაც ხელში იგდებდნენ, ახორციელებდნენ როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო გერმანელები, რომლებსაც ადგილზევე ნიშნავდნენ. შემდეგ ეს კონტროლი გადაეცათ სხვადასხვა გერმანულ საწარმოებს, რომლებსაც ენიჭებოდათ უფლება ეკარნახნათ მუშაობის პირობები დაპყრობილ საწარმოებში „იმპერიისა და თვით გერმანული ფირმების სარგებლობის ინტერესების“ მიხედვით. ოკუპირებული ქვეყნების თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ფირმა და საწარმო დაყენებული იყო გერმანული ფირმების კონტროლქვეშ ორგვარი მიზნით: ჯერ ერთი, ხელი შეეწყოთ გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის და, მეორე, მიეღწიათ ჰეგემონია ეკონომიური ბატონობისათვის ევროპაში. სოფლის მეურნეობის დარგში გერმანელები ზეგავლენის ასეთსავე მეთოდებს იყენებდნენ. ისინი მასობრივად ართმევდნენ პროდუქტებს მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას.

გერტოფერი ბრალდებულებს ბრალსა სდებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიურ გაძარცვაში და ამბობს, რომ მათ დანაშაულობათა რიცხვში შედიოდა ქურდობა, თაღლითობა, შანტაჟი და მასობრივი მკვლელობა. ჰიტლერელებმა აიძულეს ოკუპირებული ქვეყნები და მიმშილით სიკვდილისათვის გასწირეს ამ ქვეყნების მოსახლეობა. მათ ჩაიდინეს სამხედრო დანაშაულობანი, რომელთათვისაც ჯეროვანი სასჯელი უნდა მიიღონ.

შემდეგ ბრალმდებელი ჩერდება ჰიტლერელთა მიერ დანიისა და ნორვეგიის ეკონომიურ გაძარცვაზე.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

21 იანვრის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 21 იანვარი. (საქდესი). ტრიბუნალის 21 იანვრის საღამოს სხდომაზე ფრანგი ბრალმდებელი გერტოფერი განაგრძობდა სასამართლოსათვის იმ დოკუმენტების წარდგენას, რომლებიც ჰიტლერელების მიერ ნორვეგიის გაძარცვას ეხება.

ბრალმდებელი აცხადებს, რომ იმ ზარალის ზუსტი აღრიცხვა, რაც გერმანელებმა ნორვეგიას რეკვიზიციებით, ჩამორთმევითა და ჯარიმებით მიაყენეს, ჯერ კიდევ არ შეიძლება. მაგრამ წინასწარი გამოანგარიშებაც კი მოწმობს კოლოსალურ ზარალს, რაც ჰიტლერელმა ოკუპანტებმა ამ ქვეყანას მიაყენეს.

ბრალმდებელი გადადის ჰოლანდიის ეკონომიურ გაძარცვაზე და აღნიშნავს, რომ ეს ქვეყანა ოკუპანტებმა თითქმის სრულიად გაანადგურეს.

ბრალმდებელი შემდეგ ლაპარაკობს ოკუპანტების მიერ სპეციალური ორგანიზაციების შექმნაზე, რომლებიც სამრეწველო მოწყობილობას იტაცებდნენ.

გერტოფერი გადადის ჰოლანდიაში ჰიტლერელების მიერ იძულებითი შრომის გამოყენების საკითხზე. გარდა იმისა, რომ მრავალი ჰოლანდიელი მუშა იძულებული იყო გერმანიის სამხედრო მანქანისათვის ემუშავნა, დაახლოებით 550 ათასი ჰოლანდიელი ძალად გარეკეს გერმანიაში.

შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარე ლორდი ლოურენსი სიტყვას აძლევს ფრანგ ბრალმდებელ დელპეშს, რომელმაც დაასურათა ჰიტლერელი ოკუპანტების მიერ ბელგიის გაძარცვა.

ამით მთავრდება საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

მონარქისტული პუტჩი სამხრეთ საბერძნეთში

ათენი, 21 იანვარი. (საქდესი). გუშინ მონარქისტებმა პელოპონესში პუტჩი დაიწყეს. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობების თანახმად, ქალაქ კალამატაში (კალამი) სამხედრო ფორმით გამოწყობილმა კარგად შეიარაღებულმა მონარქისტებმა დაიკავეს საპოლიციო უბანი, გაათავისუფლეს მკვლელობისათვის დაპატიმრებული 30-ზე მეტი ხიტოსი (მონარქისტულ-ფაშისტური ორგანიზაციის „ხ“-ს წევრები) და თან წაიყვანეს პატიმრობაში მყოფი ეამის მომხრეები. უკანასკნელთა ბედი არავინ იცის. მონარქისტებმა სცადეს ხელში ჩაეგდოთ საპყრობილე და სახელმწიფო დაწესებულებანი. შედეგი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. ფაქტიურად კალამატა ხიტოსთა ხელშია. ქალაქისაკენ მიდიან მონარქისტული ბანდები პროვინციიდან, რომელთა რაოდენობა 3 ათას კაცს აღწევს. ბევრ მათგანს, როგორც იუწყებიან, მკლავზე გაკეთებული აქვთ სახვევი, რომელზეც გამოსახულია ასო „ხ“. ეროვნული გვარდიის ნაწილები მეამბოხეებს წინააღმდეგობას უწევენ.

სროლა სწარმოებს სპარტაშიც, სადაც ხიტოსებმა ქალაქის ნაწილი დაიკავეს. ორივე ქალაქში არიან მოკლულები.

მთავრობამ ლაკონიისა და მესინის პროვინციებში სამხედრო წესები გამოაცხადა. კორინთიდან და ათენიდან პელოპონესში გაიგზავნა მოტორიზებული ნაწილები. დღეს დილით კალამატაში წავიდა საესკადრო ნაღმოსანი „კრეტა“. პატრის მახლობლად მდებარე აეროდრომზე გაიგზავნა თვითმფრინავთა ესკადრილია. ქალაქ კალამატის ხიტოსთა მეთაური ნანგანასი კანონს გარეშეა გამოცხადებული. მოელიან ბრძანებას ხიტოსთა „პარტიის“ დაშლის შესახებ და პოლიციის მიერ ამ ფაშისტური ორგანიზაციის დაწესებულებათა დაკავებას ათენსა და პირეიში.

პრემიერის მიმართვაში, რომელიც ფურცლებად დაიბეჭდა და თვითმფრინავით პელოპონესში გაიგზავნა, ნათქვამია, რომ მეამბოხეები „გადაეცემიან სამხედრო სასამართლოს, რომლის განაჩენებიც დაუყოვნებლივ იქნება მოყვანილი სისრულეში“.

პელოპონესის ამბებს წინ უძღოდა ხიტოსთა მეთაურის პოლკოვნიკ გრივასის მიერ პრემიერისათვის გაგზავნილი ულტიმატუმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თუ მთავრობა თვითონ არ მოიშორებს თავიდან კომუნისტებს, ხიტოსები თვითონ „დაამყარებენ წესრიგს საბერძნეთში“.

საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრმა განაცხადა, რომ მას ხელში ჩაუვარდა გრივასის მიერ დაგზავნილი ცირკულარი, რომლიდანაც ცხადია, რომ პელოპონესის ამბებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება „ხ“-ს ორგანიზაციას. მონარქისტული პრესის მიერ უკანასკნელ დღეებში გავრცელებული ცილისმწამებლური ხმები, თითქოს კომუნისტები აჯანყებას ამზადებენ, აგრეთვე მთელ საბერძნეთში ტერორის გაძლიერება მოწმობს, რომ პელოპონესის ამბები მხოლოდ ნაწილია მონარქისტულ-ფაშისტური ორგანიზაციების მიერ მომზადებული გეგმისა.

ათენისა და პირეის მოსახლეობის მასობრივი მიტინგი დემოკრატიის დასაცავად

ათენი, 22 იანვარი. (საქდესი). 20 იანვარს ათენში შესდგა დემოკრატიული კლუბების კავშირის ინიციატივით მოწვეული გრანდიოზული მიტინგი. ათენისა და პირეის სულ მცირე 250 ათასმა მოქალაქემ აავსო სტადიონი „პანათენაიკოსი“, ახლომახლო ქუჩები და შენობათა სახურავები. მიტინგს დაესწრნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის (ეამის), კომპარტიის და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. დემოკრატიული კლუბების კავშირის საპატიო თავმჯდომარის გენერალ ოტონეოსის სიტყვის შემდეგ მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს საბერძნეთის ყველა დემოკრატიულ ძალთა ერთიანობისაკენ.

რეზოლუციაში ნათქვამია: „აღვნიშნავთ, რომ მთავრობამ, რომელზეც ხალხი ესოდენ დიდ იმედს ამყარებდა, ვერ შესძლო წესრიგისა და პოლიტიკური თანასწორობის დამყარება და ვერ შექმნა პირობები ქვეყანაში პატიოსანი და თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად. მთავრობამ ხელუხლებლად დასტოვა დეკემბრის შემდგომი მთავრობების მიერ შექმნილი მთელი სახელმწიფო აპარატი. პროტესტს ვაცხადებთ საბერძნეთის საქმეებში უცხოეთის ფაქტორების ჩარევის წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან საბერძნეთის პოლიტიკური ცხოვრების თავისუფალ განვითარებას, ხელს უწყობენ ადგილობრივ რეაქციას, აბრკოლებენ თავისუფლებათა დამყარებას და ფეხქვეშ სთელავენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სიამაყეს და დამოუკიდებლობას. მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა დემოკრატიულ პარტიასა და ორგანიზაციას თანამშრომლობისაკენ საერთო ბრძოლაში მონარქიზმის საფრთხის წინააღმდეგ. მოვითხოვთ ბოლო მოეღოს დემოკრატ მოქალაქეთა სიცოცხლის, ღირსებისა და ქონების წინააღმდეგ მიმართულ თანდათან გაძლიერებულ ტერორს; უზრუნველყოფილ იქნას წესრიგი და პოლიტიკური თანასწორობა, გაიწმინდოს არმია, ჟანდარმერია, პოლიტიკური ორგანოები და იუსტიციის ორგანოები, მთელი სახელმწიფო აპარატი ფაშისტური გამცემლური და დიქტატორული ელემენტებისაგან; პატიოსნად ჩატარდეს საარჩევნო სიების შემოწმება და უზრუნველყოფილ იქნას ყველა მოქალაქეთათვის მათი საარჩევნო უფლებების განხორციელების თავისუფლება. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას შესძლებს მხოლოდ ის მთავრობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა ჭეშმარიტად დემოკრატიული პარტია და წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაცია. ნამდვილად დემოკრატიული წარმომადგენლობითი მთავრობა შესძლებს დაიცვას და უზრუნველყოს წესრიგი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღდგენა და აყვავება. ჩვენ მოვუწოდებთ რეგენტსა და მთავრობას შეასრულონ ხალხის სურვილი“.

მრავალმა პლაკატმა, ლოზუნგმა და შეკრებილთა ერთსულოვანმა შეძახილებმა ცხადჰყვეს, რომ ათენისა და პირეის მოსახლეობა მოითხოვს დემოკრატიას, ფაშიზმის აღმოფხვრას და მთავრობაში ეამის წარმომადგენელთა შეყვანას.

ეროვნული მთავრობის განათლების სამინისტროს ბიუჯეტი

თავრიზი, 18 იანვარი. (საქდესი). ირანის აზერბაიჯანის ეროვნული მეჯლისის პრეზიდიუმმა მოიწონა განათლების სამინისტროს ამ თვის ბიუჯეტი. ხარჯების საერთო თანხა (ურმიისა და ზანჯანის რაიონების გამოკლებით) 9.938.390 რიალს შეადგენს. ხარჯების თანხა ახალი მუხლების მიხედვით, რომლებსაც წინათ ბიუჯეტი საერთოდ არ ითვალისწინებდა, როგორიცაა, მაგალითად, ხელოვნებათა განყოფილებისა, გამომცემლობათა განყოფილებისა და სახელმწიფო თეატრისათვის განკუთვნილი ხარჯები, 965.505 რიალს შეადგენს.

გაზეთი „აზერბაიჯანი“ მოწინავე სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „ჩვენი ბიუჯეტი“, აღნიშნავს, რომ ასიგნობათა ეს თანხა ორნახევარჯერ აღემატება თეირანის მთავრობის წინანდელ ასიგნობებს. „ამ ბიუჯეტს, სწერს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის კულტურის ამაღლებაში“.

თავრიზელ ქალთა კრება

თავრიზი, 17 იანვარი. (საქდესი). ამ დღეებში თავრიზში შესდგა ქალთა პირველი მასობრივი კრება. ამ კრებაზე სიტყვით გამოსულმა ხანუმ ელემდუსტმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიისა და ეროვნული მთავრობის მეოხებით ირანის აზერბაიჯანის ქალებმა პირველად მიიღეს თავიანთი პოლიტიკური უფლებანი. სიდიგა ხანუმ მერამიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ უკანასკნელი 9 დღის განმავლობაში ქალაქში შეიქმნა დემოკრატიული პარტიის 17 ქალთა ახალი უჯრედი, რომლებშიც შედის 25 წევრი თითოეულში.

გაზეთი „ჰავერე ნოუ“ ათავსებს ცნობას ქალთა კრების შესახებ და აქვეყნებს მათს მისალმებებსა და მადლობას ირანის აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობისადმი.

ირანის შაჰმა მიიღო ჰაკიმის კაბინეტის გადადგომა

თეირანი, 22 იანვარი. (საქდესი). ირანის მეჯლისის წარმომადგენელმა გუშინ განაცხადა, რომ შაჰმა მიიღო ჰაკიმის მთავრობის გადადგომა.

სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XIX სამეცნიერო სესიამ ორი დღის გასტანა.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა აკადემიკოს ა. შანიძის მოხსენება თემაზე: „სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად (მარი, ბრიერი, ცორელი), ძველ ქართულში თითქოს არ არსებობს ფორმობლივი განსხვავება უწყვეტელსა და I კავშირებითს (ანუ I მყოფადს) შორის, ნამდვილად კი უძველეს ძეგლებში (ხანმეტ ძეგლებსა, ოთხთავებშია და სხვ.) განსხვავება მკვეთრად არის გატარებული. ამ საკითხში ერთმანეთს უპირისპირდება მოქმედებითისა და ვნებითი გვარის ზმნები: ვნებითებს ამ მწკრივებში, მოქმედებითი გვარის ზმნებთან შედარებით, საწინააღმდეგო ნიშნები აქვთ: უწყვეტელში ე და I კავშირებითში ი: ვაქებდი, მაგრამ ვიქებოდე; რათა ვაქებდე, მაგრამ: რათა ვიქებოდი. I ბრძანებითი უწყვეტლისებრ არის ნაწარმოები: აქებდი, მაგრამ: იქებოდე.

ვნებითი გვარის ზმნათა წარმოების თავისებურებას აღნიშნულ მწკრივების საკითხში აზიარებს რამდენიმე მოქმედებითი გვარის ზმნა (ვიქმ, ვიტყვ, ვილ, ვუწყ) და რიგი საშუალი ზმნებისა (ვტირ, ვრბი და სხვ.), რომელთაც ამ მწკრივებში, ვნებითის მსგავსად, საერთოდ ოდ მოუდის (უწყვეტელი: ვიქმოდე, ვიტყოდე, ვტიროდე და სხვ.).

აღრევა და ფორმობლივი დამთხვევა უწყვეტელსა და I კავშირებითისა იწყება გვიან, როდესაც თავს იჩენს ტენდენცია, რომ გათანაბრებულ იქნება წარმოების თვალსაზრისით ვნებითი გვარის ზმნები მოქმედებითი გვარის ზმნებთან (X-XI საუკუნე).

მოხსენების გამო აზრი გამოთქვა აკადემიკოსმა გ. თოფურიამ.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა დოცენტი მ. სააკაშვილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილის შესახებ.

მომხსენებელმა **ი.** თარხნიშვილი დაახასიათა როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი.

ი. თარხნიშვილს ახასიათებდა აქტუალური მეცნიერული საკითხების დაყენება და კვლევის შესანიშნავი უნარი. იგი იყო მეცნიერების მონაპოვრის უნიჭიერესი პოპულარიზატორი და კარგი ლექტორი. როგორც რუსეთსა და საქართველოში, ისე საზღვარგარეთ აუდიტორიები ვერ იტევდნენ ი. თარხნიშვილის ლექცია-მოხსენების მოსასმენად მოსულ საზოგადოებას. ის იყო პროგრესული მოაზროვნე და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. ამიტომ მას განუწყვეტლივ ებრძოდნენ რეაქციული წრეები.

ივანე თარხნიშვილი პირველი ქართველი ფიზიოლოგი, ფსიქო-თერაპევტი და ჰიგიენისტია. მოღვაწეობდა სამხედრო სამედიცინო აკადემიაში, სადაც ხელმძღვანელობდა ფიზიოლოგიის კათედრას. მან დიდი როლი ითამაშა საქართველოს მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია ლექციებს, რომლებიც მან წაუკითხა თბილისში 1871 წელს. ეს ლექციები გამოცემული ყოფილა თბილისში 1872 წელს სათაურით: „ნერვული სისტემის როლი ცხოველების მოძრაობაში“.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მოღვაწე და მჭევრმეტყველი ლექტორი ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი გარდაიცვალა 1908 წელს, 62 წლისა.

მ. სააკაშვილის მოხსენების გამო ვრცელი სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ი. თარხნიშვილის მოღვაწეობა არ იფარგლება მეცნიერების იმ დარგით, რომელშიაც ის ძირითადად მუშაობდა. მან დიდი როლი შეასრულა მთლიანად ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში და ამიტომ სრულიად მართებულია ინტერესი ი. თარხნიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმართ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მხრივაც.

კამათში გამოვიდა აგრეთვე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ნ. ა. ქიფშიძე.

პროფესორმა ა. ქუთელიამ წაიკითხა მოხსენება: ს. დოდაშვილის „ლოგიკა“.

ა. ქუთელიას მოხსენების გარშემო აზრი გამოთქვა პროფესორმა კ. ბაქრაძემ.

აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა გამოვიდა მოხსენებით: „გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის ცვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში“.

მომხსენებელმა აღნიშნა:

1. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა დადასტურება სახელებში პრინციპულად დადებითად სწყვეტს ამავე კატეგორიის არსებობის საკითხს ზმნის ცვლილებაში: ძველად ცვლილება გრამატიკული კლასების მიხედვით უნდა წარმოებულიყო.

2. სუბიექტის მეორე პირისა და ობიექტის მესამე პირის ნიშნად ერთი და იმავე ფორმანტის გამოყენება ქართულ ზმნაში გვაფიქრებინებს, რომ სათანადო პრეფიქსები ძველად პირის ნიშნები კი არ იყვნენ, არამედ გრამატიკულ კლასზე მიუთითებდნენ.

3. ეს გრამატიკული კლასი უნდა ყოფილიყო ნივთისა; მისი გამოსახულებაა (ს) (ჰ) ხ და უფრო ძველი—დ.

ადამიანის გრამატიკული კლასის ნიშანი შემოგვენახა პირველ პირში (ვ) (მ).

არნ. ჩიქობავას მოხსენების ირგვლივ აზრი გამოთქვა გ. თოფურიამ.

სამეცნიერო სესიის მეორე დღის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა გ. ახვლედიანი.

მომხსენებელმა წარმოადგინა ახალი მეთოდოლოგიური ზოგადფონეტიკური დებულება, რომლის საფუძველზე ახსნა დღემდე აუხსნელი ერთ-ერთი ფონეტიკური მოვლენა ძველი ფრანგულისა, სახელდობრ, თუ რატომ გვაქვს მასში „ხმოვანი + დენტალ“—ნაცვლად კომპლექსისა „ველარი + დენტალ“. რიგი სხვა ენების (ქართული, სლავური, ბერძნული, ლათინური, ძველი ჩრდილოეთ გერმანული, გოთური, ინგლისური) სათანადო მასალის ანალიზით მან დაასაბუთა თანხმოვანთა აქცესორულ-დეცესორული კომპლექსების განსხვავებული კვალიფიკაციის აუცილებლობა ფონეტიკურ ცვლილებათა ახსნისას.

გ. ახვლედიანის მოხსენების გარშემო აზრი გამოთქვეს ა. ჩიქობავამ და გ. თოფურიამ.

პროფესორმა ს. ყაუხჩიშვილმა მოხსენება გააკეთა თემაზე: „მასალები გელათის აკადემიის საკითხისათვის“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უშუალო ცნობები გელათში აკადემიის არსებობაზე არ მოგვეპოვება. პირველი არაპირდაპირი ცნობა ეკუთვნის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს: „რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულობისად, სხუად ათინად“.

გელათის სიგელებში მოხსენებული „მოძღვართ მოძღვარი“ უნდა მიუთითებდეს გელათის აკადემიის რექტორზე.

გელათის ძეგლის სისტემა შესდგებოდა სამი ელემენტისაგან: მონასტერი, აკადემია, ქსენონი. ამის ანალოგიურია ზოგიერთი ბიზანტიური ძეგლის სისტემა.

გელათის აკადემიის შენობის ნანგრევები მიქანად დაცულია გელათის ძეგლის დასავლეთ მხარეში, სამრეკლოსა და გალავნის დასავლეთ ზღუდეს შუა.

შენახული ნანგრევებიდან ჯერჯერობით გამოვლენილია სამეცადინო დარბაზი, თავისი კათედრითა და მსმენელთა დასაჯდომი ადგილებით და მაღალთაღიანი შესავალი—ვესტიბიული.

აკადემიის შენობის ფასადი დასავლეთ მხარეზე იყო. უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი თაღიანი, თლილი ქვისაგან აგებული შესავალი ამ ფასადს ეკუთვნის. სისტემა ნაგებობათა, რომლებიც აკადემიის შენობას უნდა წარმოადგენდნენ, თავისი აგებულებით საერო-სამოქალაქო არქიტექტურის ტიპისაა. კარ-ფანჯრები, დასაჯდომი ადგილები, ბანიანი სართული ვესტიბიულისა—ამის დამამტკიცებელია.

ს. ყაუხჩიშვილის მოხსენების გარშემო აზრი გამოთქვეს აკადემიკოსებმა გ. ჩუბინაშვილმა და არნ. ჩიქობავამ, პროფესორმა კ. დონდუამ და თ. ჟორდანიამ.

ლიტერატურული საღამო გალში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის განყოფილებამ გალში ჩაატარა ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ხ. ბღაჟბამ. აფხაზეთის მწერლების შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ლ. პ. ბერიას სახელობის სოხუმის პედინსტიტუტის ლექტორმა ამხ. ბ. გვასალიამ.

საღამოზე თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა გ. გულიამ, გ. გაბუნიამ, ხ. ბერულავამ, შ. ტაბიძემ, ხ. ბღაჟბამ და რ. თაკუშვილმა.

ს. შონია

ჩოხატაური

ბახმაროს გზის მშენებლობა

რაიონის ცენტრიდან კურორტ ბახმარომდე გრძელდება გზის მშენებლობა. მიწის სამუშაოები დამთავრებულია მთელ მანძილზე, ხოლო ხრეშის მოყრა 22 კილომეტრზე. ბახმაროს გზის მშენებლობა მიმდინარე წლის ზაფხულისათვის უნდა დამთავრდეს.

ახალი სასტუმრო

შენდება ორსართულიანი სახლი, რომელიც განკუთვნილია სასტუმროსათვის. ახალ სასტუმროს 18 ოთახი ექნება. მისი აგება ამ ორ თვეში უნდა დამთავრდეს.

კოლმეურნეები აშენებენ სკოლას

სოფელ შუაგანახლებაში კოლმეურნეობა აგებს სკოლის შენობას, რაც 500.000 მანეთი ჯდება. შენობა მზად იქნება 1946 წლის გაზაფხულზე. სკოლის შენობას აგებენ აგრეთვე სოფელ ნაბეღლავში.

3 ჰექტარი დეკორაციული ბაღი

რაიონის ცენტრში 3 ჰექტარზე ეწყობა პარკი. რგავენ დეკორაციულ მცენარეებს: პალმებს, კვიპაროსებს, ნაძვს, სოჭს და სხვ. ამჟამად აქ გაჰყავთ გზები, მთავრდება ბაღის შემოკავება.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—24/I—„ამაო სიფრთხილე“. **რუსთაველის სახელობის**—24/I—„ტირიფის ქვეშ“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 23/I—„შესაფერი ჯილდო“, 24/I—„მარგარიტა გოტიე“. **მუსიკალური კომედიის**—24/I — „მზის დაბნელება“. **სანკულტურის**—24/I — „სტუმარ-მასპინძლობა“. **გრიბოედოვის სახელობის**—23, 24/I—„თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს“.

კინოებში

23 იანვარს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და დამკვრელი „ტყუპი“. კომკავშირელი და ლუქსემბურგის სახელობის—„ივანე ნიკულინი“. **ოფიცერთა სახლი** — „არშინ-მალ-ალან“. **სპარტაკი**—„ერთ ღამეს“. **26 კომისრის სახელობის**—„რაიკომის მდივანი“. **მეცნიერება და ცოდნა**—ფერადი ფილმები 1. „სრულიად საკავშირო ფიზკულტურული პარადი მოსკოვში“, 2. „გამარჯვების პარადი“.

მოქალაქე **ვართანუშ პეტრეს-ასულმა ოგანესოვამ,** მცხოვრებმა ჩერნიშევის მეორე ჩიხი № 5, აღძრა საქმე სამოსწავლო ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე **აბრამ ალექსანდრეს-ძე არუთინოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ნასიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23/I, 4½ ს. ცორესის, 31.

მეუღლე პაშა სამსონის ასული ერისთავი, ძმა პროფესორი კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავი ოჯახით იუწყებიან **ხერგია დავითის-ძე ერისთავის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/I, 7 ს. კოროლენკოს, 23, გამოსვენება 24/I, 4 ს.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-07, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგესა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81. სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00010